

**ინტერკულტურული მუნიციონაბა პირთაღარ საბყაროში: ქართული
სიმღერის ონლაინ მასტარკლასები კოვიდის პერიოდში**

2020წელს სამყარო რადიკალურად შეიცვალა. კოვიდ 19-ის პანდემიის საპასუხოდ გახანგრძლივებულმა შეზღუდვებმა შორს მიმავალი გავლენა მოახდინა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე და სოციალური შეკრებები და მოგზაურობა შეუძლებელი გახდა. ამავე დროს, ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ გახსნა ახალი შესაძლებლობები ინტერნეტ პლატფორმების თვალსაზრისით. ონლაინ სივრცეში მხოლოდ ლექციებმა და კონფერენციებმა არ გადაინაცვლა. მუსიკალურმა ანსამბლებმა ასევე დაიწყეს რეპეტიციებისა და გამოსვლების ახალი ფორმებით ექსპერიმენტირება, რისთვისაც ახალ ტექნოლოგიებს იყენებდნენ, ხოლო ადამიანებმა შეძლეს მონაწილეობის მიღება ინტერაქტიულ აქტივობებში.

ამ აქტივობებში შედიოდა სიმღერის ვორქშოპები. იმ ადამიანებს შორის, ვინც ასეთ გამოცდილებას გვთავაზობდა, იყვნენ ქართველი მომღერლებიც, რომლებიც ატარებდნენ ვორქშოპებს უცხოეთში და მასპინძლობდნენ უცხოელ მომღერალთა ჯგუფებს საქართველოში. რადგან საზაფხულო სასიმღერო არდადეგების დაგეგმვა თითქმის დასრულებული იყო, ღონისძიების გაუქმებას სჯობდა მისი ონლაინ ჩატარება. ამავე დროს, ონლაინ ფორმატზე გადასვლამ მასწავლებლებს მისცა საშუალება შეენარჩუნებინათ პროფესიული კავშირები მომღერალთა კონკრეტულ ჯგუფებთან საზღვარგარეთ.

მე პირადად დავსწარი ქართული სიმღერის ონლაინ ვორქშოპების სერიას, ძირითადად, საღამოებით და შაბათ-კვირას და ეს სასიამოვნო სულის მოთქმა იყო ჩემი, როგორც უნივერსიტეტის მუსიკალური დეპარტამენტის ხელმძღვანელის საქმიანობისგან. უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამან შესაძლებლობა მომცა, შემენარჩუნებინა კავშირი ჩემი ამჟამინდელი კვლევის სფეროსთან და დავკვირვებოდი განვითარების მნიშვნელოვან ახალ მიმართულებებს მათი ჩამოყალიბების პროცესში. სხვადასხვა მასწავლებლის მიერ ჩატარებულ ვორქშოპებზე დასწრებამ შესაძლებლობა მომცა შემეღარებინა ისინი ერთმანეთთან, ისევე როგორც მსგავს ღონისძიებებზე პირადად დასწრების ჩემს გამოცდილებასთან. ძირითადად, მაინტერესებდა სწავლების სტილი, რეპერტუარის შერჩევა და რესურსები, რომლებსაც გვანვდიდნენ ვორქშოპამდე და მისი დასრულების შემდეგ დამოუკიდებელი მეცადინეობისთვის. ასევე მაინტერესებდა მონაწილეთა დემოგრაფია: ვინ ესწრებოდა? სად იყვნენ ტერიტორიულად? მანამდე რა კავშირი ჰქონდათ (თუ ჰქონდათ) საქართველოსთან, მასწავლებელთან და ერთმანეთთან? ამ მოხსენების პირველ ნაწილში შემოგთავაზებთ სხვადასხვა მასწავლებლის მიერ ჩატარებული ვორქშოპების მოკლე აღწერას და შემდეგ დავადგენ, უპირატესობებისა თუ დახმარების დიაპაზონს როგორც მასწავლებლების, ასევე, მონაწილეების პერსპექტივიდან. ბოლოს, შემოგთავაზებთ წინასწარ მოსაზრებებს ამ ტენდენციების მნიშვნელობის შესახებ ეთნომუსიკოლოგიის და ინტერკულტურული კვლევების აქტუალურ თემებთან დაკავშირებით.

თამარ ბუაძე ერთ-ერთია იმ სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე მასწავლებელს შორის, რომელიც მიიწვიეს საღამოს ვორქშოპების ჩასატარებლად ზუმის პლატფორმის საშუალებით ChorOnline (ონლაინ გუნდი) პროექტის ფარგლებში.

პროექტს მასპინძლობდნენ ფრანცისკა ველტი და მისი კოლეგები შვეიცარიის ქალაქ ვინტერთურნიდან. იგი შეიქმნა ვინტერთურისა და ბერლინის ქალთა გუნდების ყოველკვირეული რეპეტიციების საფუძველზე, როცა კოვიდის შემდეგ რეპეტიციები ონლაინ ფორმატში გაგრძელდა (ორივე გუნდის ხელმძღვანელი ფრანცისკა ველტია).

თამარის ვორქშოპების სამუშაო ენა იყო გერმანული (რომელსაც ის სრულყოფილად ფლობს), თუმცა გუნდის წევრების შეთავაზებით, ითარგმნებოდა (ინგლისურ და იტალიურ ენებზე) ზუმის „ჩატის“ ფუნქციის დახმარებით. თამარს ხანგრძლივი ურთიერთობა აქვს როგორც შვეიცარიასთან, ასევე გერმანიასთან, ასე რომ „ადგილობრივი“ მონაწილეებისთვის ვორქშოპები იმ საქმის გაგრძელება იყო, რომელსაც ისინი უკვე ასრულებდნენ რეალურ სივრცეში. მრავალი სიმღერა შეგიძლიათ მოძებნოთ კრებულში *Songbook Georgia/Liederbuch Georgien*, რომელიც შეადგინეს თამარ ბუაძემ და იმკე მაკმარტრიმ, ხოლო ტექსტების, მუსიკალური პარტიტურებისა და თარგმანების ჩამოტვირთვა შესაძლებელია ChorOnline-ის Dropbox-იდან. მონაწილეებისათვის მისაწვდომი იყო პარტიტურები, თუმცა ყველას არ შეეძლო ნოტების წაკითხვა. მონაწილეებს შეეძლოთ აერჩიათ, თუ როგორ „გამოიყენებდნენ“ შეთავაზებას. მაგალითად, როცა თამარი სიმღერის ერთ ხაზს იმღერებდა, ცალკეულ მონაწილეებს (გამორთული მიკროფონებით) შეეძლოთ მასთან ერთად ემღერათ. თამარი საკუთარ თავს ფანდურით უწევდა აკომპანემენტს და თითოეულ შეხვედრას რაღაც მონაკვეთში მისი ვაჟები ემატებოდნენ, რომელთაც შეეძლოთ ეჩვენებინათ, როგორ იღერებდა სიმღერა მრავალხმაში. ვორქშოპი იწყებოდა ფიზიკური და ვოკალური ვარჯიშების სერიით, რომელსაც თან ახლდა კომენტარები ხასიათის, შინაგანი განწყობის, ისევე როგორც ხმის ხარისხზე, რომლითაც ქართული ხალხური სიმღერა უნდა შესრულდეს. თამარის შეხედულება სიმღერაზე, როგორც საკუთარი თავის გაძლიერების საშუალებაზე, კარგად მოერგო იზოლირებულობის განცდასა და შფოთვისას, რომლის წინაშე პანდემიის პიკურ პერიოდში აღმოვჩნდით. რეპერტუარი ქალთა სიმღერებით იყო დატვირთული, მათ შორის თამარის მიერ არანჟირებული ლაზური სიმღერებიც იყო და ჩვენ, ჩვეულებრივ, ორ ან სამ სიმღერაზე ვმუშაობდით -90წუთიანი ვორქშოპის ძირითადი ნაწილის განმავლობაში.

ნინო ნანიეშვილის წაყვანილ ვორქშოპებს, რომლებსაც -2020ში რამდენიმე თვის განმავლობაში ვესწრებოდი, სხვა ფორმა ჰქონდა. ნინო ყოველ შაბათ-კვირას ატარებდა ორსაათიან ვორქშოფს, მონაწილეებს შეეძლოთ დასწრებოდნენ ერთს ან ორივეს. ვორქშოპები ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა და მრავალი ქვეყნიდან მიიზიდა მონაწილეები – გაერთიანებული სამეფოს, კანადის, შვერთეული შტატების, საფრანგეთის, ბელგიის, გერმანიის, ავსტრიის, უნგრეთის და ავსტრალიის ჩათვლით. მონაწილეთა რაოდენობა ყოველი შეხვედრისას განსხვავებული იყო: ამ ჯგუფმა მისცა ბიძგი იმ ანსამბლის შექმნას, რომელიც მონაწილეობდა უცხოური ანსამბლების კონცერტში, რომელიც 2020 წელს ტრადიციული მრავალხმაიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმის მსვლელობისას ონლაინ გადაიცემოდა. ნინოს ვორქშოპებს მრავალი მონაწილე ადრეც ესწრებოდა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ და ზოგიერთმა ჩვენგანმა ერთმანეთი საქართველოში გავიცანით. სხვებმა ვორქშოპების შესახებ ფეისბუკ-რეკლამით ან მეგობრებისაგან შეიტყვეს. ნინო ყოველ კვირას ახალ ჟანრს გვთავაზობდა. ჩვენ შევისწავლეთ საშობაო და სააღდგომო, სამკურნალო სიმღერები, იავნანები, საქორწილო, შრომის, ამინდთან დაკავშირებული, ასევე ქალაქური სიმღერები და საეკლესიო საგალობლები. ნინო რამდენიმე დღით ადრე PowerPoint-ით გვიგზავნიდა ფაილს, რომელიც საჯვო იყო ისტორიული და კონტექსტუალური ინფორმაციით და აუდიო და ვიდეო ჩანაწერების

ბმულებით. ყოველი ვორქშოპის დასრულების შემდეგ კი გვიგზავნიდა ჩვენ მიერ შესწავლილი სიმღერის თითოეული ხმის პარტიის აუდიო ჩანაწერს. შემდეგ იგი ყოველ კვირას განსხვავებულ გეოგრაფიულ რეგიონს ირჩევდა. ასეთიანრად, მონაწილეები უკეთესად ეცნობოდნენ სვანეთის, სამეგრელოს, გურიის, კახეთის, თუშეთისა და სხვა რეგიონების მუსიკალურ რეპერტუარს და სასიმღერო სტილებს. ისტორიები, რომლებსაც ნინო გვიყვებოდა სიმღერების და მათი უფრო ღრმა მნიშვნელობების შესახებ, ადამიანებზე, რომლებიც მღეროდნენ ამ სიმღერებს და მათთან დაკავშირებულ რიტუალებსა და ტრადიციების შესახებ, ხელს უწყობდა იმ სამყაროს გაცოცხლებას, რომელშიც ამ სიმღერების ფესვებია. ნინო სიმღერებს ზეპირად, პარტიტურის დახმარების გარეშე გვასწავლიდა. ის შესარულებდა ხოლმე ერთ ხაზს და ჩვენ ყველა ვიმეორებდით. ხანდახან ხელით მიგვანიშნებდა მელოდიის მიმართულებას; ხანდახან ერთი ხელის თითებით გვიჩვენებდა ინტერვალის ზომას ან ნოტების თანმიმდევრობას რომელიმე კონკრეტულ მოტივში. რამდენიმე რეპეტიციის შემდეგ ჩვენ რიგ-რიგობით ვრთავდით მიკროფონებს და ვცდილობდით დამოუკიდებლად გვემღერა ეს ხაზი. ეს ნიშნავს, რომ შედარებით ნელა მივიწვევდით წინ, განსაკუთრებით იმ დღეებში, როცა მეტი რაოდენობის მონაწილე ესწრებოდა, სესიების უმრავლესობა კი ეძღვნებოდა ერთი ცალკეული სიმღერის შესწავლას. ჩემი აზრით, ამ სახის მუშაობა კარგი ვარჯიში იყო გონებისთვისაც და ხმისთვისაც; გვიწევდა რთული მელოდიური ხაზების და მათი ორნამენტული და მოდალური მოდულაციების გააზრება და დამახსოვრების გზების ძიება.

შემდეგ ნინოს გაუჩნდა აზრი, რომ ჩაეტარებინა ვირტუალური ტური საქართველოს გარშემო, სხვადასხვა რეგიონში სწვეოდა მომღერლებს, რომლებიც ჩვენი ზუმ-შეხვედრებისას მასწავლებლების როლს ასრულებდნენ. ზოგიერთი ხანდაზმული მომღერლისათვის ეს ვიდეო-კონფერენციის პირველი გამოცდილება იყო: ისინი გააოცა იმის გაგებამ, რომ ადამიანები, რომლებსაც ეკრანზე ხედავდნენ და უსმენდნენ, მსოფლიოს სხვადასხვა შორეულ კუთხეში იყვნენ; მათ უხაროდათ, რომ ამ გზით შევძელით მათთან სტუმრობა. თუ ინტერნეტ-კავშირი არ იყო, ნინო ვიდეო ჩანაწერს ამზადებდა, თუ როგორ ასრულებდა სიმღერას მოწვეული მასწავლებელი და შემდეგ ზუმის „ეკრანის გაზიარების“ ფუნქციის წყალობით, ამ ჩანაწერს გვიჩვენებდა. ჩვენთვის, როგორც მონაწილეებისათვის, ეს საქართველოში ყოფნის და სიმღერების ბუნებრივ გარემოში მოსმენის საუკეთესო შანსი იყო. 87 წლის მარო ჟუჟუნაძის სახლში, მაგალითად, გვაჩვენეს ხალიჩები, რომელთა ქსოვაც მას დედამ ასწავლა, ისევე როგორც იავნანა, რომელიც მან შეასრულა და თან ხის აკვანს არწევდა. ნინომ შეითავსა კულტურული მედიატორის, კურატორის და ჩვენთვის მოწყობილი ვიზიტების კონტექსტუალიზატორის როლები, ის მოქმედებდა როგორც თარჯიმანი, მოწვეულ მასწავლებლებს კი მიუთითებდა, როდის უნდა შეენელებინათ ტემპი, გაემეორებინათ ხაზი ან დაეყოთ ის უფრო მცირე, უფრო დამყოლ ერთეულებად.

ზოე პერეს ვორქშოპში გაერთიანებულია თამარისა და ნინოს ვორქშოპების ასპექტები, რომლებიც უკვე აღვწერე და შემოტანილია დამატებითი სიახლეები. ფრანგული წარმოშობის და საქართველოში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მცხოვრები ზოე ახლა ქართული სიმღერების აღიარებული შემსრულებელია. ის ფაქტი, რომ მან ეს სიმღერები თვითონ ისწავლა როგორც არა-ქართველმა, დამატებით ნიუანსებს სძენს იმას, თუ როგორ აგებს ის ხიდს ქართულ კულტურასა და თავისი უცხოელი სტუდენტების სამყაროს შორის. მისი ვორქშოპები ტარდებოდა ფრანგულ ენაზე, რომელიც მონაწილეთა უმრავლესობისათვის მშობლიური იყო. ყოველ სესიას მასთან ერთად ესწრებოდა ან კოკა ხიჯაკაძე, ან დამიანე გორდელაძე და

მას შეეძლო ეჩვენებინა სიმღერის ორი ხმა, რომელთა ფონზეც მონაწილეებს მესამე ხმის პარტიის შესრულება შეეძლოთ. ზოეს მიზანი მხოლოდ სიმღერების სწავლება არ იყო, არამედ ასევე ვოკალური ტექნიკის განვითარებაც. თამარის მსგავსად, ისიც ყოველ შეხვედრას იწყებდა გასახურებელი ვარჯიშებით და გვირჩევდა, თუ როგორ გაგვეუმჯობესებინა სუნთქვის კონტროლი, ტონის ხარისხი და როგორ მიგვეცა ფორმა მელოდიური ხაზისათვის. ცალკეულ მონაწილეებს შეეძლოთ სურვილის შემთხვევაში, ეცადათ ემღერათ დამოუკიდებლად ჩართული მიკროფონებით და ზოე უფრო კონკრეტულ სტილისტურ და ტექნიკურ რჩევებს აძლევდა მათ. დამხმარე მასალა, რომელსაც ის ამზადებდა, მოიცავდა აუდიო მასალას ინდივიდუალური ხმებით და ასევე ხმების სხვადასხვა კომბინაციით, რათა შეგვძლებოდა მოგვესმინა ნებისმიერი ორი ხმისათვის და მესამე კი ჩვენ დაგვემატებინა.

მალხაზ ერქვანიძემ ონლაინ ფორმატის პოტენციალი სხვაგვარად გამოცადა, მოამზადა ჰარმონიზაციისა და იმპროვიზაციის ინტენსიური კურსი, რომელიც ტრადიციულ ქართულ გალობაზე იყო ფოკუსირებული. რეპერტუარის შესწავლის ნაცვლად შემოგვთავაზებს ჩართვა მუსიკის თეორიასა და საშემსრულებლო პრაქტიკაში, რაც დაფუძნებული იყო მოდალური და ჰარმონიული სისტემების, იმპროვიზაციის პრინციპებისა და განსხვავებული სამგალობლო სკოლების მუსიკალური გრამატიკის სხვა ასპექტებზე. კურსი, რომელიც რვა კვირაზე იყო განაწილებული, მონაწილეთა მცირერიცხოვან ჯგუფზე იყო გათვლილი, რომლებიც მიიღებდნენ სერიოზულ ინდივიდუალურ ყურადღებას, თუმცა მძიმე შრომის ფასად: ნიშნული მაღალი იყო, კურსი კი როგორც ვოკალური, ასევე მენტალური საზრიანობის მაღალ დონეს მოითხოვდა. ჩვენ გვაძლევდნენ სავარჯიშოებს, რომლებზეც უნდა გვემუშავა ყოველკვირეული ორსაათიანი მეცადინეობებისას და ასევე საკმაოდ ბევრი დრო უნდა გამოგვეყო დამოუკიდებელი პრაქტიკისათვის მეცადინეობებს შორის. მაგალითად, შეიძლებოდა მოეთხოვათ, რომ ჩაგვეწერა ჩვენ მიერ შესრულებული ერთი ხმის პარტია და შემდეგ გამოგვეკვლია მეორე პარტიის იმპროვიზების სხვადასხვა გზა, ისე რომ მოცემულ სტილისტურ საზღვრებში დავრჩენილიყავით. ყოველი მეცადინეობის შემდეგ, ზუმის ჩანაწერების მოსმენის შესაძლებლობა ფასდაუდებელი იყო ჩვენი ცოდნის განსამტკიცებლად.

ჩემი ბოლო მაგალითი ასევე არის კიდევ ერთი ინტენსიური პროგრამა, რომელიც შეიქმნა აშშ-ში დაფუძნებული ასოციაცია Village Harmony-ს მიერ ანსამბლ „ზედაშესთან“ პარტნიორობით. Village Harmony-ს საქართველოში სასწავლო-საშემსრულებლო ბანაკების ორგანიზების დიდი ისტორია აქვს. როცა 2020 წლისთვის დაგეგმილი საზაფხულო ბანაკის გაუქმების საკითხი დადგა, გადაწყდა ამ ღონისძიების შემჭიდროებულ ერთკვირიან კურსად გარდაქმნა, რომელიც ონლაინ პლატფორმა Thinkfic-ით გადაიცემოდა. ამან შედარებით დიდი რაოდენობის მონაწილეები მოიზიდა, მათი უმრავლესობა აშშ-ში ცხოვრობდა, დანარჩენები ჩაერთნენ კანადიდან, გაერთიანებული სამეფოდან, კორსიკიდან, ირანიდან, ავსტრალიიდან და ახალი ზელანდიიდან. კურსზე ჩაწერილი მონაწილეებიდან ზოგიერთი ერთმანეთს იცნობდა Village Harmony-ს სხვა პროექტებიდან, თუმცა საკმაოდ ბევრს არც Village Harmony-თან ჰქონია რაიმე კონტაქტი და არც საქართველოსთან. „ზედაშეს“ რამდენიმე წევრი სიღნაღში, ერთ-ერთ სახლში, ერთად ცხოვრობდა მთელი კვირის განმავლობაში: ეს ნიშნავდა, რომ მათ შეეძლოთ ესწავლებინათ სხვადასხვა კომბინაციით (სამი ხმა ყოველთვის ადგილზე იყო) და შეეძლოთ, ასევე ცეკვის გაკვეთილებიც ჩაეთარებინათ ცოცხალი მუსიკის თანხლებით. თანმიმდევრობით ექვსი დღის განმავლობაში განსხვავებული უანრისა და სხვადასხვა რეგიონის ათ სიმღერაზე ვიმუშავეთ. დამხმარე მასალის დიაპაზონი,

ხარისხი და მოცულობა გასაოცარი იყო. წინასწარ ატვირთული რესურსები მოიცავდა სტატიებს, ფილმებსა და ვებგვერდებს საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ენის შესახებ. კურსის დაწყების შემდეგ ყოველდღიურად ემატებოდა ახალი აუდიო-ვიზუალური მასალა, როცა ონლაინ გადაცემული სასწავლო გაკვეთილების მსვლელობისას ახალ სიმღერებს გვაცნობდნენ. ამ მასალაში შედიოდა დამატებითი სასწავლო ვიდეოები, რომლებიც დამოუკიდებლად უნდა შეგვესწავლა, როგორც პირდაპირი ონლაინ გაკვეთილების დამატება; ერთი ხმის პარტიის ჩანაწერები %75 ან %50 შენელებით, რაც შესაძლებლობას გვაძლევდა, უფრო ადვილად გაგვეშიფრა მელიზმური და მიკროტონალური პასაჟები და აუდიო მასალა, რომლებსაც თან ახლდა გადასაფურცლი ტექსტები, რისი წყალობითაც ჩანაწერის პარალელურად შეგვეძლო გვემღერა. ონლაინ სესიების მსვლელობისას „ზედაშეს“ გაკვეთილებში (ქეთევან მინდორაშვილის ხელმძღვანელობით) ჩართული იყო მსჯელობები ტრადიციული სასიმღერო პრაქტიკის ესთეტიკური და ფსიქო-კულტურული განზომილებების შესახებ, ინფორმაცია წყაროებისა და ვარიანტების შესახებ და პასუხები კითხვებზე, რომლებიც „ჩატის“ ფუნქციის მეშვეობით შემოდიოდა. ჩვენ წაგვახალისეს, რომ სესიებს შორის აგვეტვირთა ჩვენს მიერ ინდივიდუალური ხმის პარტიების შესრულება; შემდეგ ეს ჩანაწერები Village Harmony-ს გუნდმა ერთმანეთთან დააკავშირა და ტრიოები შექმნა. ეს კვირა დასრულდა მონაწილეების ზუმ-შეკრებით მხიარულ სუფრასთან სიღნაღში, რომლის დროსაც რამდენიმე ვირტუალურმა ტრიომ, „ზედაშეს“ მიერ შესრულებული მრავალი სიმღერისა და ცეკვის შუალედებში, „შეასრულა“ სიმღერები. ჩვენ ავნიეთ ჭიქები ერთად გატარებული დროის აღსანიშნავად წარმოთქმული სადღეგრძელოებისას: „მეგობრობას არ აქვს საზღვრები“; „ჩვენ ჯადოსნურ სამყაროში ვცხოვრობთ“; „ჩვენ შორს ვართ, მაგრამ ერთად ვართ“.

ვორქშოპების ონლაინ ჩატარების ამ ხუთი ძალიან განსხვავებული მიდგომის მოკლე აღწერები მიგვანიშნებენ იმ მოულოდნელ უკუგებაზე, რომელიც იძულებითი კომპრომისის შედეგად მივიღეთ დარომელიც თითქმის მხოლოდ „რეალურისამყაროს“ გაღარიბებულ აჩრდილზე ოდნავ მეტი უნდა ყოფილიყო. მრავალხმიანი სიმღერაში თანა-ყოფნისა და თანა-ჟღერის შეგრძნება ფუნდამენტურია და იზოლაციის პირობებში ამ გამოცდილების გამეორების ნებისმიერი მცდელობა არალოგიკური იქნებოდა. ჩვენ გვაკლდა ერთ სივრცეში ერთმანეთის გვერდით დგომის, სხვათა ხმების ვიბრაციის შეგრძნების, ხმების ერთდროულად შერწყმის, ჩვენი ქართველი მეგობრების გვერდი-გვერდ, ვარსკვლავებიანი ცის ქვეშ ჰარმონიების შექმნის გამოცდილება. თუმცა იყო სიმღერებთან და ერთმანეთთან ურთიერთობის სხვა გზებიც, თუკი ონლაინ ფორმატს შემოქმედებითად მივუდგებოდით. ამ ექსპერიმენტებმა გამოავლინეს ახალი შესაძლებლობები, რომლებიც მაშინაც, როცა ცხოვრება ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდება, არ უნდა დავივიწყოთ და მომავალი ურთიერთობის გასამდიდრებლად გამოვიყენოთ.

მასწავლებლებისთვის ყველაზე პოზიტიური შედეგი ის იყო, რომ ვორქშოპები გახდა შემოსავლის წყარო იმ დროს, როცა პანდემიამ ყოველდღიური ცხოვრება გააჩერა. ვორქშოპების ზოგიერთმა წამყვანმა გადასახადი დაანესა, სხვებმა დონორები მოიძიეს. ChorOnline-ის შემთხვევაში ორგანიზატორებისათვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ვორქშოპზე დასწრება ნებისმიერ მსურველს შესძლებოდა. საფასურის გადახდის გადაწყვეტილების მიღება თვითონ მონაწილეს მიანდეს, რადგან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ადამიანების გადახდისუნარიანობა განსხვავებულია და პანდემიის პერიოდში მრავალი ადამიანი მოულოდნელი ფინანსური სიძნელების წინაშე აღმოჩნდა. ეს მიდგომა ადამიანებზე ზრუნვის

კულტურის ნაწილია და აძლიერებს იმის გაცნობიერებას, რა ძალა აქვს სიმღერას ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის, განსაკუთრებით, კრიზისულ პერიოდებში. მნიშვნელოვანი იყო, რომ მასწავლებლებს ამ საქმიანობისათვის მალალი ანაზღაურება მიეღოთ, რისთვისაც ChorOnline-ის გუნდმა ქალაქ ვინტერთურისგან პროექტისათვის დამატებითი სახსრები მოიპოვა.

გაკვეთილების ონლაინ ჩატარების გამოცდილებამ მასწავლებლებს ახალი ტექნიკური და პედაგოგიური უნარები შესძინეს. მათ ჰქონდათ შესაძლებლობა უფრო დიდ და მრავალფეროვან აუდიტორიასთან ემუშავათ და გაეფართოებინათ პროფესიული კავშირები. ლეა ჰეგმანმა (Lea Hagmann) 2020 წლის ნოემბერში ეთნომუსიკოლოგიის ბრიტანული ფორუმის (The British Forum for Ethnomusicology) კონფერენციაზე მოხსენებაში ChorOnline-ის შესახებ აღნიშნა ის დამატებითი სარგებელი, რომლის შესახებაც განაცხადა ვორქშოპების ზოგიერთმა წამყვანმა: „საკუთარი კულტურის გატანის თავისუფლება 'ეთნომუსიკოლოგიური ორთოდოქსულობის' გარეშე“ – ე.ი. თავისუფლება, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ, როდესაც ასწავლიდნენ საკუთარი მეთოდით და საკუთარი მასალის გამოყენებით, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე. კიდევ ერთი დადებითი ასპექტი ნინო ნანეიშვილის შემთხვევაში გამოიკვეთა – როგორ შთააგონა ვორქშოპის გუნდმა ახალი კვლევების ჩატარება. ნინო თავის გამოცდილებას ადარებდა არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელმაც შესაძლებლობა მისცა არა მხოლოდ ახალი სიმღერები და რიტუალები გამოეტანა მზის სინათლეზე და გაეზიარებინა ჩვენთვის, არამედ აღმოეჩინა ის, რაც მისთვისაც სიახლე იყო.

ვორქშოპების მონაწილეებსაც გარკვეული უპირატესობები ჰქონდათ ახალი მეთოდით მუშაობისას: ზოგიერთებს, საქართველოში ან სხვა ქვეყნებში, შეიძლება ვერ მოეხერხებინათ ვორქშოპებში მონაწილეობა სხვადასხვა ლოგისტიკური და ფინანსური პრობლემების გამო, რამაც ვორქშოპები ხელმისაწვდომი გახადა უფრო მრავალფეროვანი აუდიტორიისათვის, გაზარდა უშუალოდ კულტურის მატარებლებისაგან სწავლის შანსი და მასწავლებლების არჩევანი.

მე პირადად, მრავალ ვორქშოპზე დასწრებამ დამანახა რთული ქსელი, რომელიც შედგებოდა მთელი მსოფლიოს მომღერალი ენთუზიასტების საინტერესო ქსელებისგან; ონლაინ ფორმატი თავისთავად გარკვეულ პრაქტიკულ უპირატესობებს გვთავაზობს. ზუმის პლატფორმა შედეგიანი იყო, როგორც მრავალენოვანი სივრცე სინქრონულ თარგმანით „ჩატის“ მეშვეობით. შესაძლებელი გახდა ასევე ტექსტების გამოქვეყნება, „ეკრანის გაზიარების“ ფუნქციის დახმარებით. ვორქშოპების ჩაწერისა და შემდეგ მათი გაზიარების ფუნქცია მონაწილეებს სასწავლო სესიის იმდენჯერ ნახვის შესაძლებლობას აძლევდა, რამდენჯერაც სურდათ. შესაძლებელი იყო დამატებითი რესურსების ონლაინ განთავსება დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

ამ სახის ვორქშოპებმა ქართული სიმღერის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრებს შესაძლებლობა მისცეს შეენარჩუნებინათ სოციალური და მუსიკალური კავშირები საქართველოსთან და ერთმანეთთან. გაიხსნა ეფექტური ახალი სივრცეები სოციალური ურთიერთობისათვის და რეგულარული ონლაინ შეხვედრები ჩვენი რიტუალების ნაწილად იქცა. ჩვენ ვისწავლეთ, როგორ შეიძლება დავრჩეთ განსხვავებულ ადამიანებად, რომლებიც ერთად ქმნიან მუსიკას და აღმოვაჩინეთ, რომ ჯერ ისევ შესაძლებელი იყო (როგორც „ზედაშესთან“ საერთო სუფრის აღწერისას აღვნიშნე) განგვეცადა ერთად ყოფნის მძლავრი ექსტაზი, რომლის შედეგი გახდა „ჩატში“ გამოქვეყნებული ემოციური რეაქციები.

ვორქშოპები შეიძლება განვიხილოთ, როგორც გამოყენებითი ეთნომუსიკოლოგიის უაღრესად ეფექტური მაგალითები. ვორქშოპების ლიდერები,

რომლებსაც, ზოგიერთ შემთხვევაში მხარს ფასილიტატორების გუნდები უმაგრებდა, იყენებდნენ ახალ საშუალებებს კულტურული ცოდნის და მუსიკალური კომპეტენციის გადასაცემად განსხვავებული, არააკადემიური აუდიტორიისათვის. მუსიკალურმა გამოცდილებამ მონაწილეებისათვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის და რეალური უნარების შექმნის შესაძლებლობა უზრუნველყო. საინტერესოა, რომ ჩემ მიერ ამ სტატიაში აღწერილი ვორქშოპების თითქმის ყველა ლიდერი და ფასილიტატორი ქალი იყო, ისევე როგორც მონაწილეთა უმრავლესობა. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია და შემდგომ გააზრებას მოითხოვს.

როგორც უფრო ფართო კულტურული ფენომენი, ვორქშოპი კვლევის მნიშვნელოვანი ასპექტია, როგორც მუსიკის ხორცშესხმა მისი საშემსრულებლო ფორმით – როგორც აქტივობა, რომლის მიზანია მუსიკის ერთად შექმნაში დაეხმაროს ადამიანებს, ნაცვლად იმისა, რომ მომხმარებელი აუდიტორიის წინაშე წარმოადგინოს მუსიკალური პროდუქტი. ქართული სიმღერის ვორქშოპები ყოველთვის იზიდავდა მრავალ, განსხვავებული კულტურების მატარებელ მონაწილეს, მაგრამ ონლაინ მანიფესტაციისას ვორქშოპის, როგორც ინტერკულტურული მუზიცირების სივრცის პოტენციალი, კიდევ უფრო აშკარა ხდება. ისტორიულ მომენტში, რომლის დომინანტური შეგრძნებები შიში და დანაკარგი, შეზღუდვა და იზოლირება იყო, ფიზიკური საზღვრების ჩაკეტვამ პარადოქსულად გახსნა ინტელექტუალური შესაძლებლობების ახალი წესრიგი – ამ შემთხვევაში, საქართველოს მრავალხმიანი სასიმღერო მემკვიდრეობით მის გულში.

თარგმნა მარინა ამბოკაძემ